განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა

რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს (14 წელი) მიუღწეველი პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შემთხვევაში, არ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა, ასევე, არ არსებობს ჩადენილ ქმედებაზე რეაგირების, აგრეთვე, ამგვარი ქმედების პრევენციის ეფექტიანი მექანიზმი. ქმედითი ბერკეტების არარსებობა, თავის მხრივ ახალისებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირებში კანონსაწინააღმდეგო ქცევას. აგრეთვე, მიუხედავად კანონმდებლობის მოთხოვნისა, დღემდე არ არსებობს დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს იმ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას, რომელთა მიმართ სხვა, ნაკლებად ინტენსიური ღონისძიების გამოყენება არ იყო ეფექტური. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეუძლებელია მსგავსი არასრულწლოვნების მიმართ განხორციელდეს საჭირო მიზნობრივი სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

სწორედ აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ შემუშავდა „კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებები. დასახელებული კანონის მოქმედება გავრცელდება არასრულწლოვანზე, რომელთან მიმართებითაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება და ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი.

შემუშავებული კანონის პროექტის მიზანია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვანთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენის გზით მათი რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, მხარდაჭერა და დანაშაულის პრევენციის ხელშეწყობა. აგრეთვე, არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის პროცესისა და პროცესში ჩართული უწყებების/დაწესებულებების უფლება-მოვალეობების განსაზღვრა.

კანონპროექტი ითვალისწინებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მათ საჭირო სერვისში/პროგრამაში

ჩართვას. აგრეთვე, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ გადამისამართებას არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში, სადაც არასრულწლოვნის რეაბილიტაციისა და დახმარების მიზნით, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურირებული და მართვადი გარემო.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები არ წარმოადგენენ სისხლისსამართლებრივ ღონისძიებებს. ისინი მიმართულნი არიან არა არასრულწლოვნის დასჯისკენ, არამედ მისი დახმარებისკენ, დაცვისა და შესაბამისი სოციალური უნარების გამომუშავებისკენ. აღნიშნულ პროცესში მიღებული თითოეული გადაწყვეტილება დაეფუძნება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს და მიიღება მულტიდისციპლინური მიდგომით, რაც გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საჭიროებების განსაზღვრაში სხვადასხვა სპეციალიზაციის მქონე (მაგალითად, ფსიქოლოგი, იურისტი, ექიმი და სხვა) პირების ჩართულობას. რაც შეეხება, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში გადამისამართებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული იქნება როგორც მულტიდისციპლინური ჯგუფი, ასევე სასამართლო, რომელიც გადაწყვეტს არასრულწლოვნის აღნიშნულ სახლში განთავსების საკითხს.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

დღეის მდგომარეობით არ არსებობს საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც სრულყოფილად მოაწესრიგებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი რეაგირების და არასრულწლოვნის რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის საკითხებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია შემუშავდეს წინამდებარე საქართველოს კანონი.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

პროექტის მიღებით შეიქმნება საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შემთხვევაში, ეფექტიანი რეაგირების მექანიზმების ფუნქციონირებას. წარმოდგენილი კანონის პროექტით დარეგულირდება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის და მხარდაჭერის პროცესის წარმართვისა და მონიტორინგის წესი, პროცესში ჩართული უწყებების/დაწესებულებების უფლებამოსილებები, მათი კოორდინირებულად მუშაობის პროცედურები და სხვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონის პროექტით, განისაზღვრება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის და მხარდაჭერის პროცესის წარმართვისა და მონიტორინგის წესი, პროცესში ჩართული უწყებების/დაწესებულებების უფლებამოსილებები და მათი კოორდინირებულად მუშაობის პროცედურები. პროექტით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი განიმარტება, როგორც არასრულწლოვანი, რომელთან მიმართებაშიც პროკურორის მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დასტურდება

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა და რომელსაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი.

პროექტის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის პროცესი დაეფუძნება მულტიდარგობრივ მიდგომას, რა დროსაც სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურა იმუშავებს კოორდინირებულად არასრულწლოვნის დახმარების მიზნითა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. პროექტით განსაზღვრული ამოცანების ეფექტიანად აღსრულებისთვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შეიქმნება ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის ცენტრი (შემდგომ – ცენტრი), რომელიც იქნება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის პროცესის წარმმართავი და მაკოორდინირებელი ორგანო. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სისტემაში გაერთიანდება: ცენტრი, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გამოძიების ორგანოები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, აგრეთვე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირები და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები/სკოლები.

პროექტით, ზემოაღნიშნულ ორგანოებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის პროცესის ეფექტიანად წარმართვის უზრუნველსაყოფად განესაზღვრებათ რიგი უფლება-მოვალეობები.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის პროცესი შედგება რამდენიმე ეტაპისგან, კერძოდ:

- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ცენტრში გადამისამართება;
- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მდგომარეობისა და მისი ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება;
- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესაბამის სერვისებში/პროგრამებში ჩართვა ან/და გადამისამართება;
- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესაბამის სერვისებში/პროგრამებში მონაწილეობის მონიტორინგი;
- შესაბამისი სერვისის/პროგრამის დასრულების შემდეგ არასრულწლოვნის მდგომარეობაზე მონიტორინგის განხორციელება;
- კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში გადამისამართება.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის პროცესის პირველ ეტაპს წარმოადგენს კანონთან

კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ცენტრში გადამისამართება. არასრულწლოვნის ცენტრში გადამისამართებას განახორციელებს პროკურორი. კერძოდ, პროკურორი არასრულწლოვანს, რომელთან მიმართებაშიც მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დადასტურდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა და ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი, ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გადაამისამართებს ცენტრში.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ცენტრში გადამისამართების შემდეგ ცენტრი იწყებს არასრულწლოვნის თაობაზე ინფორმაციის შეგროვებას. აღიშნული მიზნით ცენტრი უფლებამოსილი იქნება ინფორმაცია მიიღოს არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლისგან, აგრეთვე, ინფორმაცია გამოითხოვოს სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოდან ან/და სხვა ისეთი პირიდან ან დაწესებულებიდან, რომელსაც შეიძლება ინფორმაცია გააჩნდეს მასზე. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის ვინაობის ან/და მისი საკონტაქტო ინფორმაციის დაუდგენლობის შემთხვევაში, აგრეთვე, თუ კანონიერი წარმომადგენელი უარს ამბობს ცენტრთან კომუნიკაციაზე/თანამშრომლობაზე ან სხვაგვარად უშლის ხელს ცენტრს, მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებაში, ცენტრის მიმართვის საფუძველზე, არასრულწლოვანს დაენიშნება წარმომადგენელი, რომელიც განახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას არასრულწლოვნის სახელით და მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

აგრეთვე, ცენტრი მოამზადებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, რომელიც განსაზღვრავს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალურ მახასიათებლებსა და საჭიროებებს. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში წარედგინება ცენტრის მულტიდისციპლინურ ჯგუფს, რომელიც დასახელებული ანგარიშის საფუძველზე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრავს არასრულწლოვნის საჭიროებებზე მორგებულ სერვისებს/პროგრამებს, მისი შესრულების დროში გაწერილ ინდივიდუალურ გეგმას და იღებს გადაწყვეტილებას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სერვისში/პროგრამაში ჩართვის თაობაზე. მულტიდისციპლინური ჯგუფის გადაწყვეტილება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სერვისში/პროგრამაში ჩართვის თაობაზე სავალდებულოა შესასრულებლად.

აღსანიშნავია, რომ მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ ცენტრთან თანამშრომლობაზე უარი, ცენტრისთვის კანონმდებლობით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებაში სხვაგვარად ხელის შეშლა ან კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სერვისში/პროგრამაში ჩართვის თაობაზე მულტიდისციპლინური ჯგუფის გადაწყვეტილების შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

მულტიდისციპლინური ჯგუფის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სერვისებში/პროგრამებში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მონაწილეობის საერთო ვადა არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები და 12 თვეზე მეტი. აღნიშნული ვადა, საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური ჯგუფის გადაწყვეტილებით, ყოველ ჯერზე, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 12 თვის ვადით.

საგულისხმოა, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების, საჭიროებებისა თუ მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსისა და სიმძიმის გამო, არასრულწლოვნის სერვისში/პროგრამაში ჩართვა არაეფექტიანია. აგრეთვე, არასრულწლოვნისგან მომავალი საფრთხის გათვალისწინებით, შეიძლება სერვისში/პროგრამაში ჩართვას იმთავითვე არ ჰქონდეს პოზიტიური შედეგების მიღწევის პოტენცია და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, თავიდანვე საჭირო იყოს უფრო ინვაზიური მეთოდების გამოყენება. სწორედ მსგავს შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით იქმნება არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლი, რომელში გადამისამართების მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, მხარდაჭერა და იგი არ წარმოადგენს არასრულწლოვნის დასჯის ღონისძიებას.

არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში დასაშვები იქნება 10-დან 18 წლამდე ასაკის კანონთან კონფლიქტში მყოფი იმ არასრულწლოვნის გადამისამართება, რომელმაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა 10-დან 14 წლამდე ასაკში. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში გადამისამართება მოხდება კანონით პირდაპირ განსაზღვრული შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი ალტერნატიული ზრუნვის მიზნით განთავსებულია სახელმწიფო ზრუნვაში და ვერ ხორციელდება სერვისის/პროგრამის შესრულება;
- კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მომართვის არსებობის შემთხვევაში;
- პროკურორის მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დასტურდება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სერვისში/პროგრამაში ჩართვის შემდეგ მის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას;
- პროკურორის მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დასტურდება არასრულწლოვნის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას (მიუხედავად იმისა, არასრულწლოვანი ჩართულია თუ არა სერვისში/პროგრამაში).

არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის გადამისამართება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში გადამისამართება დასაშვებია 6 თვემდე ვადით. აღნიშნული ვადა მულტიდისციპლინური ჯგუფის მიმართვის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს საჭიროებისამებრ, ყოველ ჯერზე 6 თვემდე ვადით.

არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში ყოფნის პერიოდში ნებისმიერ დროს, თუ არასრულწლოვნის ამ სახლში ყოფნა აღარ არის აუცილებელი მისი რესოციალიზაციის, რეაბილიტაციის და მხარდაჭერის მიზნის მისაღწევად, არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლის უფლებამოსილი პირი შესაბამისი გარემოების გამოვლენისთანავე მიმართავს მულტიდისციპლინური ჯგუფს არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში გადამისამართების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში განთავსებული კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი უფლებამოსილი იქნება თავისუფლად გადაადგილდეს დასახელებული სახლის ტერიტორიაზე, თუმცა გადამისამართების ვადის ამოწურვამდე, შესაბამისი თანხმობის გარეშე, დაუშვებელი იქნება მის მიერ სახლის დატოვება. საგულისხმოა, რომ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში მყოფი არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი იქნება ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლებით. დასახელებული სახლი ორიენტირებული იქნება არასრულწლოვნის ინდივიდუალურ განვითარებაზე, განათლებასა და ქცევის კორექციაზე. შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტები არასრულწლოვანთან განახორციელებენ აღმზრდელობით, ფსიქოლოგიურ და თერაპიულ მუშაობას. არასრულწლოვანის ინტერესებზე მორგებული შესაბამისი გარემო და პერსონალი დაეხმარება მას არსებული გამოწვევების დაძლევაში.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში (კანონპროექტი არ არის ინიციირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით გათვალისწინებული რეგულაციების ამოქმედება საჭიროებს გარკვეული მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელებას, აგრეთვე შესამუშავებელი და მისაღებია რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რაც ვერ განხორციელდება ზოგადი წესით (გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს) კანონპროექტის ამოქმედების შემთხვევაში. ამდენად, მიზანშეწონილია კანონპროექტის ძირითადი ნორმები ამოქმედდეს აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო გონივრული ვადის შემდეგ - 2026 წლის 1 იანვრიდან, ხოლო გარდამავალი და დასკვნითი დებულებები ამოქმედდება კანონის გამოქვეყნებისთანავე.

კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისათვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯები დაიფარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან, ის პირები, რომლებიც დასაქმდებიან ამ კანონის საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის ცენტრში, აგრეთვე არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში, აიღებენ სათანადო შრომის ანაზღაურებას და ამდენად, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში აისახება მათ მიერ საშემოსავლო გადასახადის სახით გადახდილი თანხა.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე კანონპროექტის გავლენის ზუსტი მოცულობა დამოკიდებულია დასაქმებულ პირთა რაოდენობასა და მათი საქმიანობის ანაზღაურების ოდენობაზე, რაც დარეგულირდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და ის დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ გამოყოფილი ასიგნებებიდან.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის ცენტრის, აგრეთვე არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლის შექმნა, მათ შორის აღნიშნულ ცენტრსა და სახლში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება მოითხოვს გარკვეულ ფინანსურ უზრუნველყოფას, რისი ზუსტი მოცულობა დამოკიდებული იქნება კანონის აღსრულების მიზნით გამოცემული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შინაარსზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტს ექნება ფინანსური გავლენა იმ პირებზე, რომლებიც დასაქმდებიან ამ კანონის საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის ცენტრში, აგრეთვე არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში და აიღებენ სათანადო შრომის ანაზღაურებას.

გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება მათი საქმიანობის ანაზღაურების ოდენობაზე, რაც დარეგულირდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე მოახდენს დადებით ზეგავლენას, რამდენადაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენ არასრულწლოვანს მიეცემა მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული დახმარება, შესაბამის სერვისში/პროგრამაში ჩართვისა და ქცევის კორექციის შესაძლებლობა. სახელმწიფოს მხრიდან არასრულწლოვნების მიმართ შეიქმნება ქმედითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ არასრულწლოვნის რესოციალიზაციას, რეაბილიტაციას, დახმარებას, განათლებას და სხვა პოზიტიურ ინტერვენციას.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავების პროცესში კონსულტაციები გავლილ იქნა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

საგულისხმოა, რომ სახელმწიფოს მხრიდან არასრულწლოვანთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე ეფექტიანი რეაგირების ფარგლებში, სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება, მათ შორის, მათი ჩამოშორება არსებული სოციალური გარემოდან და მოთავსება შესაბამის დაწესებულებაში არ წარმოადგენს სიახლეს. აღნიშნული პრაქტიკა აქტიურად გამოიყენება მრავალი ქვეყნის მიერ. კერძოდ, არასრულწლოვანის ისეთ დაწესებულებაში მოთავსების ინსტიტუტი, საიდანაც მას არ გააჩნია თავისუფლად გასვლის უფლება, დანერგილია გერმანიის

ფედერაციულ რესპუბლიკაში, ავსტრიისა და საფრანგეთის რესპუბლიკებში, ნიდერლანდების, ესპანეთის, შვედეთის, ნორვეგიისა და დანიის სამეფოებში და სხვა ქვეყნებში.

ზემოაღნიშნული ქვეყნების გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე სახელმწიფოს რეაგირება ორიენტირებულია არასრულწლოვანის დახმარებაზე, განვითარებასა და საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანი საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან/და სხვა პირებს ან/და თუ არასრულწლოვანის ინტერესების დაცვა სხვა საშუალებებით ვერ ხერხდება დასაშვებია მისი მოთავსება დახურული ტიპის დაწესებულებაში.

ზემოაღნიშნული ქვეყნებიდან აღსანიშნავია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებული მოდელი, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანის დახმარებისკენ მიმართულ სხვადასხვა ღონისძიებას. კერძოდ, არასრულწლოვანის ოჯახის გაძლიერებას, მინდობით აღზრდაში აყვანასა და არასრულწლოვანის შესაბამის დაწესებულებაში მოთავსებას. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, არასრულწლოვანთა მოთავსების მიზნით, ფუნქციონირებს რამდენიმე დაწესებულება, რომლებიც გადანაწილებულია ფედერაციული რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. დაწესებულებები გაყოფილია სქესის მიხედვით და ემსახურება სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის არასრულწლოვანებს.

არასრულწლოვანის აღნიშნულ დაწესებულებაში მოთავსება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. დაწესებულებაში არასრულწლოვანის მოთავსება ძირითადად ხდება მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი საფრთხეს უქმნის თავს ან/და სხვა პირებს. მოთავსებულ არასრულწლოვანებთან მუშაობა ხორციელდება ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე, საჭირო ფსიქოლოგიური და თერაპიული დახმარების გაწევით. დაწესებულებაში განთავსების მიზანი არ არის არასრულწლოვანის დასჯა, არამედ მათი დახმარება და რეაბილიტაცია (პედაგოგიური მიზნები). განთავსებული არასრულწლოვანები დაწესებულების ტერიტორიაზე იმყოფებიან სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადით. მშობლებს შეუძლიათ მათი მონახულება და ასევე, დაწესებულებაში დარჩენა, რისთვისაც გამოყოფილია შესაბამისი სივრცე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შემუშავებული კანონპროექტი იზიარებს სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებას და უკვე არსებული მოდელების მსგავსად არეგულირებს არასრულწლოვანის რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის პროცესს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: რატი იონათამიშვილი, არჩილ გორდულაძე, თენგიზ შარმანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ზურაბ ქადაგიძე, თორნიკე ჭეიშვილი, სალომე ჯინჯოლავა, ალუდა ღუდუშაური.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: რატი იონათამიშვილი, არჩილ გორდულაძე, თენგიზ შარმანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ზურაბ ქადაგიძე, თორნიკე ჭეიშვილი, სალომე ჯინჯოლავა, ალუდა ღუდუშაური.